*დანართი №6*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## (ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

*შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემია*

| |
|---|
| ექსპერტთა ჯგუფის წევრები<br>თავმჯდომარე: ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)<br>წევრი:  მაკა ტუკვაძე( ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) |

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

***<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>***

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

X ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- X **არაგეგმიური**





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების  შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო  დაწესებულების სახელწოდება | შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემია |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების(გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 209451573 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ.თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქალაქი თბილისი, წმინდა ნინოს ქუჩა, N19, ქალაქი თბილისი, მუხიანის II მ/რ დუმბაძის და ნონეშვილის გამზირის გადაკვეთაზე ., (ნაკვეთი N3/18) |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქ თბილისის, მუხიანის II მ/რ, წმინდა ნინოს ქუჩა N19 |
| საფოსტო ინდექსი | 0172 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების  ვებ-გვერდი | https://skola.com.ge/ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების  ელ-ფოსტა | private.school.academy@gmail.com |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | (+995 32) 2 637 607 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 1 23 0001650063 05.12.2023 |
| ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში) | 7 და 8 დეკემბერი 2023წ. |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

| **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო** | **ზოგადსაგანმანათლებლო** |
|---|---|---|---|





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|
| | | | |

## VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

*ექსპერტთა ჯგუფს დაევალა* საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „გ.ა", „გ.გ" და ,,გ.დ" კომპონენტებისა და „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესრულების შემოწმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, შეადგინა ვიზიტის დღის განრიგი, რომელიც წარმოუდგინა განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს. ვიზიტის დაწყების წინ წარუდგინა სკოლას ბრძანება და დღის წესრიგი, გააცნო მონიტორინგის საფუძველი, კერძოდ შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის ''მოსწავლის წარმომადგენლის საჩივარი.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023 წლის 7 და 8 დეკემბერს ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისის, მუხიანის II მ/რ, წმინდა ნინოს ქუჩა N19-ში სკოლაში, შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა განახორციელეს ბრძანებით გათვალისწინებული ინდიკატორების შეფასება. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა მოთხოვნილი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან (ექსპერტების მიერ შემთხვევითობის პრინციპით) დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები.
ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

### VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

| საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|
| 400 | 177 |

### VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| სტანდარტი 4<br>მოსწავლეთა მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

| | | |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: | ☐ | |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br><br>☐ | |

--------------------------------------

### III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| | | |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)*[2]

| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **ინდიკატორი 3.1.1.1** | სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული | სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (08/01/2024-04/03/2024) უზრუნველყოს, სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულების/პირების(დირექცია, პედაგოგიური საბჭო) ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა. |
| **ინდიკატორი 3.1.1.2** | სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას | სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (08/01/2024-04/03/2024) უზრუნველყოს, სტრუქტურული ერთეულების/პირების მკაფიოდ განსაზრვრული ფუნქციების ჩამოყალიბება, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხელშესაწყობად. |
| **ინდიკატორი 3.1.2.3** | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით | სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (08/01/2024-29/02/2024) უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი: ,,საქმიანობის უფლების ჩამორთმევის“ ცნობების მოპოვება 2020 წლის 3 ივნისის შემდგომ დასაქმებულ პირებთან. |
| **ინდიკატორი 3.1.2.4** | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; | სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (08/01/2024-02/04/2024) უზრუნველყოს, ადმინისტრაცილი და ტექნიკური პერსონალისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **ინდიკატორი 3.4.1.1** | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. | სკოლას ეძლევა რეკომენდაცის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს:<br>1.შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.(08/01/2024-31/08/2024)<br>2.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთნ და დამტკიცება.(08/01/2024-31/08/2024)<br>3.შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვება (08/01/2024- 31/08/2024<br>4. ექიმის დასაქმება( ვაკანსია-31/01/2024) |
| *სტანდარტი N4* | *მოსწავლეთა მხარდაჭერა* | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი 4,1,1,1* | *მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია* | სკოლას ეძლევა რეკომენდაცის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს: სკოლის შინაგანაწესში დისციპლინარული სახდელების პუნქტების 11.1.12.,11.1.13. საფუძვლების შემუშავება და ასახვა 08.01.2024 -დან 04.04.2024წ. |
| | | |

## VI. რჩევები

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 3.1.2.1* | *პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას* | *სკოლა ეძლევა რჩევა, შეიმუშაოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნება ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მიმართულებით ყველა ის წესი და პირობები, რომელიც საჭიროა სკოლის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის, დასაქმებულთა მიერ მოვალეობის სრულფასოვნად შესასრულებლად და მათი უფლებების დაცვისთვის.* |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| | | |
| *ინდიკატორი 4.1.2.5* | *სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება* | *სკოლამ შეიმუშავოს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმი, რათა აღნიშნული იყოს მკაფიო და გამჭვირვალე სასკოლო საზოგადოებისათვის.* |

***VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*** *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც წარმოდგენილია გრაფიკული სახით. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: მართვის ორგანოებს (პარტნიორთა კრება, დირექტორი, პედაგოგიური საბჭო) და სტრუქტურულ ერთეულებს (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, იურიდიული სამსახური, საგნობრივი კათედრები, სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, საქმისწარმოება, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, საფინანსო, ბიბლიოთეკა, სამეურნეო





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახური, ტექნიკური უზრუნველყოფა, სკოლის ფსიქოლოგი, სამედიცინო კაბინეტი, სკოლის დაცვა და უსაფრთხოება, დასუფთავება და სანიტარულ-ჰიგიენური სამსახური, კლასის კურატორები და განაგრძლივებული ჯგუფის სამსახური). სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა დაზუსტებულია სკოლის საშტატო განრიგით. დაწესებულების მართვის ორგანოების და სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები და ფუნქციები გაწერილია შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის" თანამდებობრივ ინსტრუქციებში/დებულებებში და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. თანამდებობრივ ინსტრუქციებიდან ჩანს, რომ ფუნქცია- მოვალეობების გაცნობის ფაქტი დადასტურებულია ხელისმოწერით. თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრული ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობები არ შეესაბამება რეალურად განხორციელებულ ქმედებებს. კერძოდ, შინაგანაწესის დასკვნითი დებულებების ნაწილში, ვკითხულობთ, ,,შინაგანაწესი ძალაში შედის დირექტორის მიერ დამტკიცებისთანავე", წარმოდგენილია 2022 წლის 10 მაისის დირექტორის ბრძანება N37- შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის" შინაგანაწესში და დებულებაში ცვლილებების შესახებ. თუმცა თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით შინაგანაწესის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის პედაგოგიური საბჭო, რომელსაც ასევე შეუძლია შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამდებობრივი ინსტრუქციებში გვხვდება ჩანაწერი- შინაგანაწესს ამტკიცებს ,,პედაგოგიური საბჭო ესგ შესაბამისად". პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები არ არის განსაზღვრული ესგ-ით, არამედ კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ" (მუხლი. 46). ასევე, სკოლას მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის ფაქტის განმხილველ ორგანოდ განსაზღვრული ჰყავს დირექცია. (შინაგანაწესი 11.1.13), თუმცა ასეთი სტრუქტურული ერთეული/ორგანო სკოლის სტრუქტურით არ არის განსაზღვრული და შესაბამისად არც ფუნქციებია გაწერილი თანამდებობრივი დებულებით." **აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის გამოსასწორებელი აქტივობების ჩამონათვალი (თანამდებობრივ ინსტრუქციებში ცვლილებების შეტანა; შინაგანაწესში ცვლილება-დამატების შეტანა; შესაბამისი პირებისთვის გაცნობა და დამტკიცება); აქტივობების შესასრულებლად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**განსაზღვრულია დროის პერიოდი (08/01/2024-04/03/2024), რესურსები (ადამიანური, მატერიალური )და რისკების დადგომის ალბათობა 5%. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, რაც გახდა ინდიკატორის საბოლოო შეფასების ცვლილების საფუძველი.**

რაც შეეხება მე-6 კლასის მოსწავლის ნ.ლ-ს წარმომადგენლის საჩივრის წერილში მოყვანილ ფაქტს, რომ ,,ნ.ლ-ს მშობელს დირექტორი შეხვედრაზე არ დახვდა და მის მაგივრად დირექტორის სამუშაო ოთახში იმყოფებოდა დირექტორის მამა, რომელსაც ნ.ლ-ს წარმომადგენლის თქმით, არ ჰქონდა სკოლის შენობაში ყოფნის და დირექტორის უფლებამოსილების განხორციელების უფლება“, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის დირექტორის მამა არის სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ასევე პარტნიორთა კრების თავმჯდომარე, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში შედის სკოლის მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ზედამხედველობა. ასევე დირექტორის და პარტნიორთა კრების თავმჯდომარის სამუშაო სივრცეები ერთ ოთახშია მოწყობილი. აქედან გამომდინარე დირექტორის მამას/პარტნიორთა კრების თავმჯდომარეს არ დაურღვევია სკოლის შიდა რეგულაციები და თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას.

### ინდიკატორი 3.1.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში პროცესების ეფექტურად მართვის მიზნით, გარკვეულ პოზიციებზე დასაქმებულია რამდენიმე პირი. კერძოდ სკოლის დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე: დირექტორი I მოადგილე და დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში. სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულია მხოლოდ ერთი დირექტორის მოადგილის ფუნქცია-მოვალეობები, თუმცა გასაუბრებით და შრომითი ხელშეკრულებების გაცნობით დგინდება, რომ გამიჯნულია მათი ფუნქცია-მოვალეობები. მოკლევადიანი სამოქმედო გეგმებიდან ჩანს, რომ კონკრეტული მიზნების, ამოცანების და აქტივობების შესრულებისათვის სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები. გადანაწილებული ფუნქციები რამდენად ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, შეიძლება დადგინდეს სტრუქტურული ერთეულების/პირების





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშაობის შეფასებით. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეული/ პირი არ მოქმედებს გაწერილი ფუნქციების მიხედვით. (იხ. 3.1.1.1 ინდიკატორის აღწერა) შესაბამისად ზუსტად ვერ განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს ხარისხი რამდენად ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას“. **ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის გამოსასწორებელი აქტივობები; აქტივობების შესასრულებლად განსაზღვრულია დროის პერიოდი (08/01/2024-04/03/2024), რესურსები (ადამიანური, მატერიალური )და რისკების დადგომის ალბათობა 5%. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, რაც გახდა ინდიკატორის საბოლოო შეფასების ცვლილების საფუძველი.**

**ინდიკატორი 3.1.1.2 მეტწილად დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა)
- საშტატო განრიგი
- შრომითი ხელშეკრულებები
- თანამდებობრივი ინსტრუქციებიდან/დებულებები
- 2023-2024 წლის მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პერსონალის მართვის ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. კერძოდ, სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება შინაგანაწესისა და სკოლის მიერ შემუშავებული ,,კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად, რაც დასტურდება წარმოდგენილი საკონკურსო მასალებით. დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესწავლით დგინდება, რომ შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს გათვალისწინებულია საქართველოს ,,შრომის კოდექსის“ არსებითი საკითხები. სკოლაში ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება. კერძოდ, მასწავლებლების ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული პედაგოგთა შეფასებისა და წახალისების ,,რეიტინგული-დაგროვებითი“ სისტემის შესაბამისად. რასაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოწმობს სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი სამუშაო პორტფოლიო. პორტფოლიოს შესწავლით დგინდება, რომ რომ პედაგოგების შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ტიპის რუბრიკების საფუძველზე. წლის ბოლოს შეფასების რუბრიკების ანალიზის საფუძველზე დგება რეიტინგული სია, რომლის საფუძველზეც ხდება მასწავლებელების წახალისება და ასევე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. სკოლა ასევე ხელს უწყობს დასაქმებული სხვა თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას. მაგალითისთვის, სკოლამ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო სკოლის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

**სკოლა ეძლევა რჩევა, შეიმუშაოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნება ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მიმართულებით ყველა ის წესი და პირობები, რომელიც საჭიროა სკოლის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის, დასაქმებულთა მიერ მოვალეობის სრულფასოვნად შესასრულებლად და მათი უფლებების დაცვისთვის.**

**ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს სამსახურში არყოფნის შეტყობნების წესს და შესაბამისი ღონისძიებებს. სადაც გაწერილია სამსახურში არ გამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას. კერძოდ, მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებით ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს მასწავლებლის საჭიროებებს და პროფესიული განვითრების მიზნით შეიმუშავებს პრევენციულ ღონისძიებებს. ასევე საჭიროების გათვალისწინებით სკოლას შემუშავებულია აქვს თავისი ორგანიზაციის სტრუქტურა და უზრუნველყოფს საჭირო კადრების მოზიდვას საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის.

   **ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის შინაგანაწესის მე-2 თავით განსაზღვრულია მუშაკის სამსახურში მიღების წესები და პირობები, რომელიც ეხება მხოლოდ მასწავლებლებს და არ მოიცავს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შერჩევის წესებსა და პირობებს. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით. მასწავლებლის დასაქმების დროს გათვალისწინებულია ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნები. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დოკუმენტაცია, სადაც ჩანს, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები, პირობები, შექმნილია საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიები, წარმოდგენილია კომისიის სხდომის ოქმები, განაცხადი გამოქვეყნებულია საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე.

დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ ,,სკოლაში დასაქმებულ პირებს წარმოდგენილი აქვთ კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრული დოკუმენტაცია. მათ შორის, ცნობები ,,ნასამართლობის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. თუმცა, ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი ,,უფლების ჩამორთმევის“ შესახებ ცნობები“. **ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის გამოსასწორებელი აქტივობები (მომსახურების სააგენტოში სკოლის ყველა თანამშრომელზე ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობებზე განაცხადების შეტანა, აღება და მათი პირად საქმეში განთავსება.); აქტივობების შესასრულებლად განსაზღვრულია დროის პერიოდი (08/01/2024-29/02/2024), რესურსები (ადამიანური, ფინანსური )და რისკების დადგომის ალბათობა 5%. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, რაც გახდა ინდიკატორის საბოლოო შეფასების ცვლილების საფუძველი.**

**ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. eSchool ბაზა მონაცემებით, სკოლაში დასაქმებულია 48 თანამშრომელი, მათ შორის 28 მასწავლებელია. გარკვეულ პოზიციებზე პერსონალის შერჩევის დროს გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, მასწავლებლის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის და ექთნის პოზიციაზე. აღნიშნული დგინდება პეროსონალის პირადი საქმეებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე. რაც შეეხება სხვა ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, მათთვის **არ არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.** მხოლოდ დირექტორის დანიშვნის დროსაა მითითებული სათანადო განათლების მქონე პირი, რაც არის ბუნდოვანი და საჭიროებს დაკონკრეტებას. **ინდიკატორთან მიმართებით, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის გამოსასწორებელი აქტივობები (ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა; აღნიშნული მოთხოვნების ასახვა თანამდებობრივ ინსტრუქციებში და შრომით ხელშეკრულებებში. მათი დამტკიცება.); აქტივობების შესასრულებლად განსაზღვრულია დროის პერიოდი (08/01/2024-02/04/2024) და რესურსები (ადამიანური, მატერიალური ). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, რაც გახდა ინდიკატორის საბოლოო შეფასების ცვლილების საფუძველი.**
**ინდიკატორი 3.1.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
5. ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს განხორციელებული პროექტები, რომლებიც გამოფენილია სკოლის შენობაში. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცებამდე ხდება დოკუმენტების გაცნობა და შეთანხმება სკოლის პედაგოგიურ საბჭოსთან. ასევე, შინაგანაწესის თანახმად ადმინისტრაციას და პედ. საბჭოს საშუალება აქვთ შეიტანონ ცვლილებები სკოლის შინაგანაწესში. სკოლაში არსებული საზიარო სივრცეები, კერძოდ სამაწავლებლო მასწავლებლებისთვის წარმოადგენს თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის ადგილს.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა შეფასებისა და წახალისების ,,რეიტინგულ-დაგროვებითი“სისტემა. დოკუმენტის თანახმად, პედაგოგი, რომელიც წლის ბოლოს შეფასების რუბრიკის მიხედვით დააგროვებს მაქსიმალურ ქულას და დადგენილი რეიტინგების სიაში აღმოჩნდება პირველ ადგილზე (ერთი წლის მონაცემებით) გადაეცემა „ნოუთ-ბუქი“ . კათედრის სამუშაო გეგმებისა და ანგარიშების გაცნობით, ასევე ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიურებით დგინდება, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში წარმატებული გამოცდილების გაზიარება.

**ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შრომის შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა შეფასებისა და წახალისების ,,რეიტინგულ-დაგროვებითი“სისტემა
- თანამშრომელთა და მასწავლებლების პირადი საქმეები;
- საკონკურსო კომისიის ოქმები და კონკურსის ჩატარების წესი;





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემუშავებული კითხვარები
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერთიფიკატი
- პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სამუშაო გეგმები და ანგარიშები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სამსახურის მუშაობის მიზნები და ამოცანები გაწერილია ,,ხარისხის მართვის განყოფილების დებულებაში“. დებულების თანახმად, სამსახურის მიზანია, სკოლის სისტემური განვითარება და სწავლება/სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფს მასწავლებელთა და სასწავლო პროცესის დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებასა და კარიერული ზრდის ხელშეწყობას, ხარისხიანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამების შესაბამისი მასალების შემუშავებას და განვითარებაში მონაწილეობას; სკოლაში მიმდინარე სასწავლო–აღმზრდელობითი და მმართველობითი პროცესების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული საქმიანობის ორგანიზებას; საგანმანათლებლო პროგრამების, მიმდინარე პროცესების მონიტორინგს, შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას. ხარისხის მართვის განყოფილების სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე განავითარე, პრინციპის დაცვით. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროცესების პერიოდულ შეფასება და რევიზია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების რუბრიკები. კერძოდ, გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, საგნობრივი პროგრამის შეფასების რუბრიკა, სასწავლო რესურსის შეფასების რუბრიკა, სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შეფასების რუბრიკა, ასევე გამოკითხვის ფორმები: მშობლების, მასწავლებლების და მოსწავლეებისთვის. როგორც, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა აღნიშნა, მიღებული შედეგების ანალიზს სკოლა ითვალისწინებს ახალი პროცესების დაგეგმვის დროს. კერძოდ, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სკოლისთვის საჭირო კადრის მოსაზიდად ან გადასამზადებლად. ასევე, საჭირო სერვიზების შესათავაზებლად.

**ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, კერძოდ სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა მმართველობით პროცესებს, ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვის წესით, კათედრის დებულებით, დამრიგებლის დებულებით.

   **ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია საჩივრის განხილვის წესი. კერძოდ, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვს წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს. შინაგანაწესით განსაზღვრულია საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები. ასევე საჩივრის არ განხილვის პირობა. შინაგანაწესის თანახმად დირექტორის გადაწყვეტილება, მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დისციპლინური გადაცდომის ფაქტს განიხილავს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საბჭო ან დირექცია. ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ თანახმად, მასწავლებელს შეუძლია კონკურსის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტი დაწესებულებაში არ დაფიქსირებულა. სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დირექტორთან წერილობითი საჩივრის მიმართვის საჭიროება არ ჰქონიათ.

**ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მომართოს სკოლის დირექტორს, მათი უფლებების დარღვევის შესახებ. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები, სადავო საკითხების გადაწყვეტის წესები, პერსონალური მონაცემების დამუშავების, გამოყენების და გავრცელების პირობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებგვერდზე.

   **ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- ხარისხის მართვის განყოფილების დებულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დასაქმებულთან და მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლა ვებგვერდის საშუალებით უზიარებს სასკოლო საზოგადოებას სკოლაში მიმდინარე სიახლეების. ვებ/გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიები, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმიდან ამონარიდები. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სასკოლო სივრცეში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს და მშობელთა კრებებს. სასკოლო გარემოს შეფასების მიზნით, სკოლა ატარებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების პერიოდულ გამოკითხვას ან/და კვლევას. ხარისხის მენეჯერის განმარტებით, 2022/2023 სასწავლო წლის ბოლოს ჩაატარა მშობლების, მოსწავლეებისა და თანამშრომლების გამოკითხვა. წარმოდგენილი კითხვარების ბოლო პუნქტები-,,მე განსაკუთრებით მაწუხებს ის, რომ ჩემი შვილის სკოლაში...“ ;





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,შეიგიძლიათ გააკეთოთ ნებისმიერი სახის კომენტარი, რომელიც სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.“ მიუთითებს, რომ სკოლა ცდილობს გაიგოს და გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების აზრი. გამოიკვეთა სკოლაში კვების სერვისის არსებობა, რაზეც სკოლამ იზრუნა, ვიზიტის დროს მიმდინარეობა კვების ბლოკის მოწყობის სამუშაოები.

**ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში არის კოლეგიალური ორგანოები: პარტნიორთა კრება და პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციებიც განსაზღვრულია სკოლის დებულებით. პარტნიორთა კრების მუშაობა განისაზღვრება საზედამხედველო ხასიათის მუშაობით და კოორდინაციას უწევს დაწესებულების მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების მუშაობას. პედაგოგიური საბჭო აერთიანებს სკოლის ყველა. მშობელთა ჩართულობის მიზნით სკოლაში განთავსებულია მშობლის ყუთი „დაგვიტოვეთ სათქმელი“. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები. მიღებული გამოხმაურებების ანალიზი სკოლას ეხმარება ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაში. სკოლაში არ ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველი ორგანო, თუმცა როგორც მოსწავლეებმა აღნიშნეს, ეს ხელს არ უშლით სკოლის დირექტორს/ადმინისტრაციას მიაწოდონ თავიანთი სურვილები და ინიციატივები. გასაუბრების დროს გაიხსენეს, კონკრეტული შემთხვევა, როდესაც სკოლის დირექტორს მიმართეს ზამთრის პერიოდში გოგონებისთვის შარვლის ტარების დაშვების შესახებ.

**ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებ/გვერდი





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შინაგანაწესი
- კვლევის კითხვარები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:
   შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული კამერები უზრუნველყოფს სკოლის მთელი პერიმეტრის კონტროლს. სკოლის ტერიტორიაზე სულ განთავსებული 16 ვიდეოკამერა. აქედან 4 კამერით კონტროლდება გარე პერიმეტრი, ხოლო 12 კამერით სკოლის შენობის შიდა სივრცე. ვიზიტის დროს გადამოწმდა მე-6 კლასის მოსწავლის ნ.ლ-ს წარმომადგენლის საჩივრის წერილში მოყვანილი ფაქტი, 24 საათიანი აუდიო-ვიდეო კონტროლის მიმდინარეობის შესახებ საკლასო ოთახებსა და დერეფნებში. ვიზუალური დათვალიერებით არც ერთ საკლასო ოთახში არ არის დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო კამერა.
   ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით კიბის უჯრედის ფანჯრებს აქვს დამცავი ბარიერები. ელექტრო გამანაწილებლების განთავსების ადგილი დაცული და გამოკრულია გამაფრთხილებელი ნიშნები. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერთიფიცირებული სპეციალისტი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი.
   სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბი, შემუშავებულია სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურეობაზე და გამოყენებისთვის მზადყოფნაზე. სკოლას აქვს სახანძრო ინვენტარი. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, ამ ეტაპზე სკოლამ ვერ წარმოადგინა. თუმცა აქვს მიწერილობა, სადაც შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის მიზნით გაცემულია რეკომენდაციები, რომელიც სკოლას 2020 წლის განმავლობაში უნდა შეესრულებინა. როგორც სკოლის დირექტორმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნა ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული და შესრულებულია. რამდენადაც სკოლას ხელახალი შემოწმება არ გაუვლია, შესაბამისად არა აქვს დასკვნა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. სკოლას ასევე არა აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა და დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლაში დასაქმებულია სამედიცინო პერსონალი -ექთანი. თუმცა კანონმდებლობით დადგენილი სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობით საჭიროა სკოლა ჰყავდეს დასაქმებული ექიმი. ვაკანსია ექიმის პოზიციაზე გამოცხადდა ვიზიტის დროს.

მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი რეგულირდება შინაგანაწესით და კლასის კურატორის თანამდებობრივი ინსტრუქციებით. კლასის კურატორი ვალდებულებაა, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება, ასევე მოსწავლის მიერ სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, მშობელთან კომუნიკაციით გაარკვიოს გაცდენის მიზეზი. აღნიშნული წესების ქმედითობა დაადასტურეს მშობლებმა გასაუბრების დროს.

**სკოლას არა აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ , არ არის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან; არა აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო კადრი-ექიმი, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებულია". აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის გამოსასწორებელი აქტივობების ჩამონათვალი:(შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ**





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი სტრუქტურაში განაცხადის შეტანა და აღნიშნული უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეკომენდაციების შესრულების დადასტურების აქტის მიღება; შენობის მდგრადობის შესახებ ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში განაცხადის შეტანა, ექპერტიზის დანიშვნა, ჩატარება და დასკვნის აღება;
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, ექიმის პოზიციაზე გამოცხადებულია ვაკანსია) აქტივობების შესასრულებლად განსაზღვრულია დროის პერიოდი(08/01/2024-31/08/2024 ). მტკიცებულებად წარმოდგინილია სკოლის განაცხადი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის სახელზე, შენობის ტექნიკური მდგომარეობის და ექსპლოატაციის ვარგისიანობის შემოწმების შესახებ და გაფორმებული კონტრაქტი, საექსპერტო მომსახურეობის შესახებ.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

**2.** საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შემუშავებულია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“ რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. (MES 6 20 00391796; 20.05.20); აღნიშნულ წესში გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესის დაცვის მექანიზმები. წესის შესაბამისად სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ინფორმირების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი ტელეფონის ნომრები. წესრიგის დაცვის მიზნით სკოლას ჰყავს უფლებამოსილი პირი, რომელიც აკონტროლებს შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას. სკოლა საზოგადოებრივი წესის შესაბამისად გეგმავს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარებას, რაც დასტურდება სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი თემების ჩამონათვალით და კურატორების ანგარიშების გაცნობით. მაგალითისთვის გამოდგება მე-6 კლასის კურატორის წლიური გეგმა. საიდანაც ჩანს, რომ დაგეგმილია შემდეგი სახის აქტივობები: არა ბულინგს! არა ძალადობას! თანაგრძნობა; მსგავსება და განსხვავება; შემწყნარებლობა; მოთმინება/ნებისყოფა; სამართლიანობა, პატივისცემა; ძალა/სიძლიერე წონასწორობა; მეტსახელები - იარლიყები;ბავშვთა უფლებები; უცენზურო ლექსიკა; წესები, რომლებიც სჭირდება საზოგადოებას; ეტიკეტი და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მე-6 კლასის საკლასო ოთახშიც გამოკრულია ქცევის წესი. ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესების და პირობების“ 27-ე მუხლით აღწერილი მოსწავლის დესტრუქციული ქცევის მართვის მექანიზმები. კერძოდ, თუ მასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის ქცევის დარეგულირებას იძახებს უფლებამოსილ პირს/დირექციის წარმომადგენელს და მისი თანხლებით ატოვებინებს საგაკვეთილო პროცესს. ფაქტის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს მოსწავლის მშობელი. მოსწავლე არის უფლებამოსილი/დირექციის წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ. კანონიერი მოთხოვნებისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი/დირექციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას ზეპირი გასაუბრებით და საჭიროების შემთხვევაში საქმეში რთავს სკოლის ფსიქოლოგს. ნ.ლ-ს წარმომადგენლის საჩივრის წერილთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი გავესაუბრეთ კლასის კურატორს, რომელმაც აღნიშნა რომ ნ.ლ-ს ქცევა ხშირად არის გაკვეთილის ჩაშლის მიზეზი, იგი ქმნის სასაცილო სიტუაციებს და შემდეგ პროცესში ერთვება მთელი კლასი. სიტუაციის დასარეგულირებლად კლასთან ერთად ჩამოაყალიბა გაკვეთილზე ქცევის წესები, სადამრიგებლო საათის ფარგლებში დაგეგმა თემატური აქტივობები, თუმცა აღნიშნული ღონისძიებები არ აღმოჩნდა ეფექტური. ამის შემდეგ პროცესში ჩართო ფსიქოლოგი. როგორც სკოლის ფსიქოლოგმა აღნიშნა, მოსწავლე ნ.ლ-მ ფსიქოლოგთან მუშაობა ერთი შეხვედრის შემდეგ აღარ ისურვა.

**ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობების“ თანახმად მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ფსიქოლოგიური დახმარება მიიღონ სკოლის ფსიქოლოგთან. როგორც მე-6 კლასის მოსწავლის ნ.ლ-ს წარმომადგენლის საჩივრის წერილშია აღნიშნული კონფლიქტური სიტუაციიდან გამომდინარე ნ.ლ -მ პროტესტის ნიშნად შეწყვიტა სკოლაში სიარული, რადგან ნ.ლ თანაკლასელისგან სისტემატურ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდა, აღნიშნულის შესახებ ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ნ.ლ-ს მშობლებმა მიმართეს



ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფსიქოლოგს. (ფსიქოლოგი-მ.ნ-ტრენინგ ცენტრი). როგორც კლასის კურატორმა აღნიშნა, რამდენადაც ნ.ლ-ს ხშირად უჭირდა საკუთარი ქცევის გაკონტროლება, ხშირად ხელს უშლიდა საგაკვეთილო პროცესს დახმარებისთვის მიმართა სკოლის ფსიქოლოგს. თუმცა ნ.ლ-მ ერთი შეხვედრის მეტი არ ისურვა სკოლი ფსიქოლოგთან კომუნიკაცია.
სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნილობის განცდა. უყვართ სკოლა და თავს გრძნობენ უსაფრთხოდ, როგორც ფიზიკურად ასევე ემოციურად. მოსწონთ სასწავლო პროცესი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

**ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას შემუშავებული აქვს ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები“, სადაც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ზედამხედველობას უწევს სამეურნეო ნაწილის უფროსი.

**ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, თუმცა მარეგულირებელი დოკუმენტების გარკვეული პუნქტები განსაზღვრავენ პერსონალური მონაცემების დაცვის წესებსა და პირობებს. „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობების “დებულებით განსაზღვრულია ელექტრონული ინფორმაციის შენახვისა და კონფიდენციალურობის დაცვის წესები და პირობები. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების დანართს წარმოადგენს თანხმობა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების თაობაზე. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მშობლის თანხმობა მოსწავლის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე და განთავსებაზე საზოგადოებასთან სკოლის საკომუნიკაციო საშუალებებში, მათ შორის ინტერნეტ სივრცეში. ხელშეკრულება ასევე მოიცავს კონფიდენციალურობის დაცვის პუნქტს. სკოლას შემუშავებული აქვს პირადი ინფორმაციის გაცემაზე თანხმობის ფორმა.

**ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.**

6. ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას ახორციელებს სკოლის IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამების განახლებას, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ჩაწერას, კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობას, გიმნაზიის შიდა ქსელური სერვისების პროგრამულად გამართვას, სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებას. ვიზუალური დათვალიერებით მოსწავლეთა და დასაქმებულის პირადი საქმეები ინახება სკოლის საქმისმწარმოებელთან დაცულ ადგილზე. სკოლის საქმეთა მმართველის სამუშაო აღწერილობის მიხედვით, მისი მოვალეობაა დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის დაარქივება და დაცვა. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ელ-ჟურნალის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

**ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.**

7. პროცესების უსაფრთხოების შესაფასებლად სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას. 2022/2023 წლის ბოლოს სკოლაში ჩატარდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა. წარმოდგენილი კითხვარებიდან ჩანს, რომ ერთი საკითხი ყველა კითხვარში ეხება უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს არსებობას. სკოლის განმარტებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა საშუალებას აძლევს შეაფასონ დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა და ანალიზის საფუძველზე მოხდეს მყისიერი რეაგირება საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით. როგორც მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებამ აჩვენა, სკოლა არის ადგილი სადაც თავს გრძნობენ დაცულად და უსაფრთხოდ.

**ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია**





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები
- ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“ შეთანხმებების წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. MES 6 20 00391796; 20/05/2020
- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- საშტატო განრიგი
- მოსწავლეებთან, მშობლებთან და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- შემუშავებული კითხვარები
- კლასის კურატორის წლიური სამუშაო გეგმა
- კურატორის წლიური ანგარიში
- დირექტორი ბრ N40 სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციების შესახებ
- დირექტორი ბრ N39 სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელო პირების განსაზრვრის შესახებ
- დირექტორი ბრ N43საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო შტაბის შექმნის შესახებ.
- ბრ. N78 ელ. ჟურნალის ადმინისტირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- პირადი ინფორმაციის თანხმობის ფორმა
- საექსპერტო მომსახურეობის კონტრაქტი -2000005124; 08/01/2024
- სკოლის განცხადება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის სახელზე





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. შპს „თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიაში“ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაცია ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შინაგანაწესში.

   სკოლაში მოქმედებს 2021 წლის 07 სექტემბერს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი. შინაგანაწესით განისაზღვრება რიგი საკითხები, რომელიც შეეხება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. კერძოდ, განსაზღვრულია მოსწავლის წახალისების ფორმები, დისციპლინური წარმოების თავისებურებანი და განცხადების/საჩივრის განხილვა.

   შინაგანაწესში ჩამოთვლილია მოსწავლის ქმედებები, რომლებიც მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად. განსაზღვრულია დისციპლინური სახდელები და დისციპლინური წარმოების წესი. მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების წესში განსაზღვრულია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული პირი.
   სკოლის მოსწავლის (არასრულწლოვანის) წარმომადგენლის საჩივარი სკოლაში არ ფიქსირდება . ასევე საჩივარში დაფიქსირებული/აღწერილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შემთხვევა სკოლის დირექციაში არ დაადასტურეს. მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ადმინისტრაციის ფუნქციებში, (სკოლის შინაგანაწესი მუხლი 5.1.8.) არის ჩანაწერი მოსწავლის 5 დღემდე დათხოვნის შესახებ, თუმცა შინაგანაწესში არ არის ჩანაწერი რა შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული აღნიშნული პასუხისმგებლობის ზომა. კითხვა ჩნდება შინაგანაწესის მუხლთან 9.1.7, რომელშიც გაწერილია, მოსწავლის მიერ განხილვაში მონაწილეობის უფლების შესახებ. რომელშიც აღნიშნულია, რომ მოსწავლეს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფლება აქვს „მოითხოვოს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა კლასის მშობელთა კრებაზე, პედსაბჭოსა და ადმინისტრაციის(დირექციის) სხდომაზე. თუ მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მას შეუძლია დაესწროს აღნიშნული საკითხის განხილვას.“ მიუხედავად იმისა, რომ კანონში ზოგადი განათლების შესახებ „მუხლი 11.სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება“ პუნქტი 2-ით გათვალისწინებულია „მშობლის, მასწავლებლისა და მოსწავლის უფლება მოითხოვონ და მიიღონ სკოლის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მათი აზრის მოსმენისა და განხილვაში უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის შესაძლებლობა“ ეს არ ითვალისწინებს მოსწავლის გადაცდომასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას პედაგოგიურ საბჭოსა თუ კლასის მშობელთა კრებაზე.

2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია მოსწავლის უფლებები განათლების მიღებასა და შეფასებასთან დაკავშირებით (შინ სწავლება, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, ექსტერნატის გამოცდა, სემესტრული გამოცდა, საშემოდგომო გამოცდა, ინკლუზიური განათლება).

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. მოსწავლის უფლებები შეეხება ხარისხიანი განათლების მიღებას, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით თანასწორ პირობებში სარგებლობას, ცოდნის სამართლიან შეფასებას, აზრის გამოხატვის თავისუფლებას, სწავლების მაღალი დონის მოთხოვნის უფლებას, სკოლის მიერ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელების უფლებებს.

წერილში და მოსწავლის მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის დირექტორმა ზეპირი განცხადების საფუძველზე, მოსწავლე სკოლიდან დაითხოვა ხუთი დღით, თუმცა გაურკვეველია რის საფუძველზე იყო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული ასეთი სახდელის მოსწავლისათვის დაკისრება. სკოლის დირექტორი აღნიშნულ დისციპლინირებულ სახდელის დაკისრებას მოსწავლის მიმართ არ ადასტურებს.

შინაგანაწესში გაწერილია დისციპლინური სახდელები (11.1.10): სიტყვიერი გაფრთხილება/შენიშვნა; წერილობითი გაფრთხილევბა შენიშვნა; საყვედური; სასტიკი საყვედური; საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ სკოლაში მოსწავლის დატოვება და დამატებითი დავალების მიცემა მშობლის წინასწარ გაფრთხილებით; სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება; სკოლიდან და საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლის დროებით დათხოვნა; გაკვეთილიდან გაძევება; სკოლიდან გარიცხვა. თუმცა აქვე გაწერილია მხოლოდ პირველი ოთხი სახდელის განსაზღვრის საფუძველი (11.1.12, 11.1.13). დადგენილია ვის მიერ შეიძლება იყო სახდელთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიღებული, თუმცა გაურკვეველია რა შეიძლება იყოს საფუძველი ისეთი სახდელებისა, როგორც „საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ სკოლაში მოსწავლის დატოვება და დამატებითი დავალების მიცემა მშობლის წინასწარ გაფრთხილებით; სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება; სკოლიდან და საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლის დროებით დათხოვნა; გაკვეთილიდან გაძევება; სკოლიდან გარიცხვა“.

ზოგადი განათლების კანონის მიხედვით სკოლა ვალდებულია შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება. სკოლის შინაგანაწესის პუნქტი 11.1.13-ის მიხედვით, „მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ, საჩივრით მიმართოს დირექტორს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა მათი უფლებების დარღვევის ფაქტის შესახებ“. შინაგანაწესის ამავე მუხლის მიხედვით სკოლის დირექცია განიხილავს აღნიშნულ საკითხს ან ამავე მიზნით შექმნილი საბჭო.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში სკოლაში არსებული საჩივრების განხილვის ამსახველი მასალა, ოქმები და მიღებული გადაწყვეტილებების მტკიცებულებები არ არსებობს.

**სკოლის შინაგანაწესში არ არის გაწერილი დისციპლინური სახდელების ( „საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ სკოლაში მოსწავლის დატოვება და დამატებითი დავალების მიცემა მშობლის წინასწარ გაფრთხილებით; სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება; სკოლიდან და საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლის დროებით დათხოვნა; გაკვეთილიდან გაძევება; სკოლიდან გარიცხვა“) აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის გამოსასწორებელი აქტივობების ჩამონათვალი:(შინაგანაწესში დისციპლინური სახდელების პუნქტების: 11.1.12, 11.1.13 საფუძვლების შემუშავება და ასახვა; აქტივობების შესასრულებლად განსაზღვრულია დროის პერიოდი (08/01/2024-04/04/2024). ინდიკატორი სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.**

2. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, კერძოდ საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლის პერსონალთან და მასწავლებლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში და ასევე მოსწავლის მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულება შინაგანაწესის გაცნობასთან დაკავშირებით.

   კლასის კურატორების თემატურ გეგმებში გაწერილია ბავშვთა უფლებების, ვალდებულებების შესახებ ჩასატარებელი თემები და ჩატარებული აქტივობები. კერძოდ, კლასის კურატორი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/მოსწავლეს გააცნოს დოკუმენტები, რომელთა შორის არის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა. აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რათა თითოეულ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდეს გაეცნოს მისთვის





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მნიშვნელოვან/საჭირო ინფორმაციას. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112 , სახალხო დამცველის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზები. გასაუბრებისას დადგინდა, სკოლის მოსწავლეებმა იციან თავიანთი უფლებები, აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებული

სკოლის შინაგანაწესი, ბავშვთა უფლებათა კოდექსი და უფლებათა კონვენცია განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. კლასის კურატორები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს. არსებული შინაგანაწესი შემუშავებულია დირექტორის მიერ, შეთანხმებულია პედსაბჭოსთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირებისთვის და მოსწავლეებისთვის უფლებების დაცვის რეგულაციები, რომელიც გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გათვალისწინებულია მოსწავლის მშობლის კანონიერი წარმომადგენლის ხელშეკრულებებშიც. შესაბამისად მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების ნომერს, თარიღს, ხელშეკრულების საგანს, სწავლების ენას, სასწავლო წლის დაწყებას, სწავლების პირობებს, მომსახურეობის საფასურს, ხელშეკრულების ვადას და გადახდის წესს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობებს, დავების გადაწყვეტის წესს, კომუნიკაციის წესს, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებს და დასკვნით დებულებებს. ხელშეკრულება მოიცავს მშობლის მხრიდან ნებართვას არასრულწლოვნების ფორმალური და არაფორმალური განათლების დროს ფოტოსურათების გადაღებისა და გასაჯაროების თაობაზე.

ხელშეკრულების მე-7 მუხლი არეგულირებს სწავლის ხელშეკრულების მოქმედების ვადას და ხელშეკრულების მოქმედების შეჩერებას და შეწყვეტას.

**ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- კლასის კურატორის თემატური გეგმები.
- კლასის კურატორის ფუნქციები
- სასკოლო სასწავლო გეგმა.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვებგვერდი.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა -აკადემიაში მოქმედებს 2021 წლის 07 სექტემბერს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი. შინაგანაწესის VII თავით განისაზღვრება „სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და კლასიდან კლასში გადაყვანის პირობები“, რომელშიც გაწერილია მხოლოდ მოსწავლის პირველ კლასში და აგრეთვე, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, კლასიდან კლასში გადასაყვანი წლიური ქულები, საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს კლასისა და საფეხურის დაძლევის წესს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად. ვებგვერდზე განთავსებულია პირველკლასელთა და სკოლაში სწავლის მსურველთა მიღებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტები.

   სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის შესახებ, რაც კანონმდებლობის შესაბამისია.

   **ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები, მიხედვით სკოლა იცავს ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის ბაზა, სკოლას კანონის შესაბამისად აქვს დაცული აღნიშნული დოკუმენტის მოძრაობა.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის

მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო-სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურეობა, სასკოლო კალენდარი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის პერსონალი, კლასის კურატორები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას საინფორმაციო შეხვედრების და დახურული ჯგუფების მეშვეობით ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სერვისების, ღონისძიებების შესახებ.

სკოლის Facebook გვერდზე განთავსებულია სკოლის ცხოვრების ამსახველი მასალები. სკოლის შენობაში, საკლასო ოთახებში გამოფენილია მოსწავლეების მიერ შესრულებული პროექტები. სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია ასაკის შესაბამისი აქტივობები, მოსწავლეთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ დაგეგმილი აქტივობები. მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში საინფორმაციო შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე ხდება მათი ინფორმირება სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურეობის, პროგრამების, მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ.

**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. სკოლის, მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი, არის საინფორმაციო და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნული და აკადემიური ღირსების წარმოჩენას. კლასის კურატორები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი შიდა სასკოლო და სხავასხვა ოლიმპიადის, ღონისძიებების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ. სკოლის დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით დგინდება, რომ განახლების პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგებს. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, მშობლების და თანამშრომელთა კითხვარები, სასწავლო პროცესის,უფლებების, მშობლებთან თანამშრომლობის შესახებ. შედეგების შესაბამისად ადგენენ სკოლის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხს. სკოლა იცავს წესს, რომ ინფორმაცია იყოს გამჭვირვალე, საჯარო და ობიექტური.

**ინდიკატორი სტანდარტის შებსაბამისია.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024წ.
- ინტერვიუს შედეგები.
- ვებგვერდი.
- ბრძანებები მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების შესახებ
- განცხადებები მოსწავლეთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ.

შეფასება:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ აქვს შემუშავებული მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. თუმცა, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია, რომ სკოლაში ახლადჩარიცხული მოსწავლე უნდა იცნობდეს სკოლის მიერ დადგენილ ნორმებს მოსწავლის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. ასევე სკოლის ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმაში საუბარია მოსწავლეებთან ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური მუშაობის დაგეგმვაზე. ასევე სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა ადაპტაციაზე ზრუნავს სკოლის პერსონალი, მასწავლებლები და კურატორები (მობილობის შემთხვევაში,საფეხურის დაძლევისას და ა.შ)მოსწავლეთა ადაპტაციისათვის სკოლას აქვს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა, ფართო ნათელი საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ტექნიკა და რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და ა.შ. პირველკლასელი მოსწავლეები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებს, პროგრამებსა და გარემოს.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სწავლის დაწყების მომენტიდან სკოლა ზრუნავს სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობაზე. მოსწავლეთა მიღება ხდება კეთილგანწყობილ და საზეიმოდ მომზადებულ გარემოში. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, მასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ის აკვირდება მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასა და სოციალიზაციის პროცესს, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს მასწავლებლებისა და დირექციისათვის. პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეებს სკოლა უწყობს ღონისძიებას სკოლის გაცნობის მიზნით. მოსწავლეები ათვალიერებენ და ეცნობიან სკოლის გარემოს. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის კურატორები მშობელთა კრებებზე მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ პროგრამულ და საკონონმდებლო სიახლეებს, ხოლო მოსწავლეებს სადამრიგებლო საათის ფარგლებში, რათა გამარტივდეს მათი ადაპტირება სასწავლო გარემოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლისგან იღებს სათანადო მხარდაჭერას. სკოლის მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე. სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილია წინასწარ დაგეგმილი გეგმით, სადაც მითითებულია სასწავლო თემები, შემაჯამებელი წერების რაოდენობა, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება განმავითარებელია, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი. სკოლა აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებს უფასოდ სთავაზობს დამატებით გაკვეთილებს. მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით იღებენ სისტემატურად ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ. სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმის მეშვიდე პუნქტში გაწერილია სკოლის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები. სკოლა პირველკლასელებს სთავაზობს ზღაპრის გაკვეთილებს, მეორე და მესამე კლასებში ჭადრაკს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე დაწყებითი  კლასის მოსწავლეები სარგებლობენ გახანგრძლივებული სწავლების მომსახურებით, სადაც ინდივიდუალურად ითვალისწინებს პედაგოგი თითოეული მოსწავლის საჭიროებას.  მოსწავლეები დამოუკიდებლად ამზადებენ დავალებებს და საჭიროების შემთხვევაში იღებენ დამრიგებლის მხარდაჭერას. მოსწავლეებთან, მშობლებთან და
მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მოსწავლეები რეგულარულად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს მასწავლებლებლებისგან აკადემიური პროგრესის შესახებ. სისტემატიურად ხორციელდება სასწავლო და სოციალური პროექტები. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საგნის მასწავლებლები მოსწავლეებს უტარებენ დამატებით მეცადინეობებს, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად. გაცდენილი საათების შემდეგ კლასის მიერ განვლილი სასწავლო მასალის დასაძლევად მოსწავლეს ეხმარებიან მასწავლებლები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინოდაა გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა. კლასის დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში აცნობენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს და განხორციელების მექანიზმებს. დისციპლინარული სახდელის დაკისრების შემთხვევაში დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტი, ამ აქტს უნდა გაეცნოს მშობელი , რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი.  სკოლაში მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (მოსწავლის სკოლიდან გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, ცნობის გაცემა) ხდება დროული რეაგირება და ვადების დაცვით აღნიშნული საქმიანობის წარმართვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეს უფლება აქვს ისარგებლოს კომპიუტერული ტექნიკის და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით, სპორტული ინფრასტრუქტურით, რესურსოთახით და ბიბლიოთეკით. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია გაუწიოს შესაბამისი მხარდაჭერა მოსწავლეს საჭიროებისამებრ. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის უფლებების დროული რეალიზების საკითხები. სკოლაში მოსწავლეებს სკოლის ექსტერნის, ოლიმპიადების, სემესტრული გამოცდების, საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წინ უტარდებათ საკონსულტაციო და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები.

აღსანიშნავია, რომ წარმოებული მონიტორინგის მიზეზი გახდა 2023 წლის 22 ნოემბრის N1590281 წერილი . წერილში აღწერილია შემთხვევა, რომ სკოლის დირექტორმა დასჯის მიზნით მოსწავლეს ერთი კვირით აუკრძალა სკოლაში მისვლა, თუმცა მშობელისთვის არ წარმოუდგენია ადმინისტრაციული აქტი, რასაც მშობელი არ გასცნობია. სკოლის შინაგანაწესის მე-9 თავში გაწერილია , რომ სკოლიდან ერთიდან ხუთ დღემდე ვადით დათხოვნის უფლება აქვს სკოლის დირექტორს ან მის მოადგილეს მას შემდეგ, რაც მშობელს აცნობებენ შვილის დათხოვნის მიზეზებსა და ხანგრძლივობას. წერილში მითითებულ ფაქტს დირექტორის მიერ მოსწავლის ერთი კვირით სკოლიდან დათხოვნის შესახებ არ ადასტურებს სკოლის დირექტორი.

**ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდაჭერას, რომელიც დასტურდება ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობებით: ექსკურსიებით, კონფერენციებით, პროექტებითა და ღონისძიებებით. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით განახორციელდა სხვადასხვა სასკოლო და მინი პროექტი, კონფერენციები და ღონისძიებები, რომლებშიც ჩართულია ყველა მოსწავლე კლასების და საფეხურების მიხედვით. მაგალითად: ;;მდგრადი განვითარება', ,,გზა ევროპისკენ", ,,ცოდნის დღესასწაული",,აფხაზეთი ჩვენია" და სხვა. სკოლაში არ არსებობს მოსწავლეთა გაერთიანება/საინიციატივო ჯგუფი,სკოლას არ აქვს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი წესი,რომელიც დაარეგულირებდა მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენას და მხარდაჭერის მიღების პროცედურას, თუმცა გასაუბრებისას მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ ყველა მათი ინიციატივა სკოლის მხრიდან იქნა გათვალისწინებული.

შესწავლილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკოლის მხარდაჭერას არაფორმალური განათლების და მოსწავლეთა ინიციატივებით დაგეგმილი ღონისძიებების მიმართ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

**რჩევა:სკოლამ შეიმუშავოს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმი, რათა აღნიშნული იყოს მკაფიო და გამჭვირვალე სასკოლო საზოგადოებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა ახდენს დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების, პროგრამების, ღონისძიებების ანალიზს .ისმენს მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების უკუკავშირს და ითვალისწინებს , რის საფუძველზეც ცვლის და აუმჯობესებს შესაბამის მომსახურეობას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტურად/წერილობით მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის ამსახველი მასალები, კერძოდ, კვლევის კითხვარები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მოსწავლეებთან და მშობლებთან





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მათ ხშირად მიუმართავთ მასწავლებლებისათვის და სკოლის დირექციისათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემებით და/ან წინადადებებით, რჩევებით, რაც სკოლამ შემდგომი საქმიანობისას გაითვალისწინა. ასევე სკოლაში განთავსებული იყო „დაგვიტოვეთ სათქმელი“, სადაც დაცული იყო ანონიმურობა და მოსწავლეები აფიქსირებდნენ თავის ინიციატივებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი.
- სადამრიგებლო პროგრამა.
- ფსიქოლოგთან დადებული ხელშეკრულება.
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ამსახველი მასალები

**4.2.2 სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; კერძოდ, მოსწავლეები ღია კარის დღეებში სტუმრობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელს. ეცნობიან მათთვის საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამებს. კლასის კურატორები სადამრიგებლო საათის ფარგლებში აწყობენ მოსწავლეთა შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. ასევე მოსწავლეები სტუმრობენ საწარმოებსა და ქარხნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიმართულებით სკოლას არა ერთი აქტივობა აქვს განხორციელებული. კერძოდ, ლექცია- რას ნიშნავს პროფესიული ორიენტაცია, რას ანიჭებენ უპირატესობას ქართველი ახალგაზრდები, ,, ჩემი არჩევანი-მომავალი პროფესია“ და ა. შ .ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

**2.** სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების საფეხურის დაძლევის შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, აცნობს ინფორმაციას ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ინიცირებულ





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიახლეებზე. იმისათვის, რომ კურსდამთავრებულებმა გააკეთონ სწორი არჩევანი, სკოლა ხშირად მასპინძლობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს, რათა მათ ადგილზე გააცნონ მომავალ სტუდენტებს თავისი შეთავაზება. კარიერული განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით ინფორმირება ხდება სხვადასხვა გზით, საინფორმაციო შეხვედრებით, სოციალური ქსელებით, დამრიგებლების მშობლებთან კომუნიკაციით. სკოლაში განხორციელებული პროექტები ეხმარება მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის არჩევაში.

**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

***3.*** სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით კითხვები არ იყო დაფიქსირებული, თუმცა მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და ცდილობენ იმ უნივერსიტეტების მოწვევას, იმ საწარმოსი თუ დაწესებულებაში სტუმრობას, რომელიც მოსწავლეთათვის უფრო მნიშვნელოვანია.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა გაითვალისწინოს, ნებისმიერი უკუკავშირი, დამდგარი შედეგები და შესაბამისად დაგეგმოს აქტივობები, შემდგომი სასწავლო წლებისათვის, რომ უფრო სრულყოფილი გახადოს პროფესიის არჩევის პროცესი.

**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინტერვიულ შედეგები
- სადამრიგებლო პროგრამები
- სასკოლო პროექტები

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის სასკოლო -სასწავლო გეგმის მეათე მუხლში გაწერილია ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შემუშავების მექანიზმები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და შეფასება, რაც შესაბამისობაშია





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა მათი მიღების პროცესში სკოლა მზაობას აცხადებს შეუქმნას ყველა საჭირო აუცილებელი პირობა და შეუდგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მულტიდიციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს ,სკოლის შემოსასვლელი და საპირფარეშო ადაპტირებულია .

   სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად არის წარმოდგენილი. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- რესურსოთახი, შესაბამისი რესურსები.
- ინტერვიუს შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.**

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს  არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. არასავალდებულო მომსახურეობის შესახებ ჩანაწერი არის სასკოლო-სასწავლო გეგმაში. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს, კერძოდ: გახანგრძლივებულ სწავლებასა და კვების სერვისს.  სკოლას სასდილო გაცემული აქვს იჯარით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს  ჭადრაკს ,ზღაპრის გაკვეთილებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა მიმართულია მოსწავლის განვითარებისკენ. ინფორმაცია მომსახურეობის შესახებ განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლეებისათვის მომსახურეობის შეთავაზება ხდება სკოლის შენობაში განთავსებული ინფორმაციისა და სოციალური ქსელების, მშობელთა კრებების საფუძველზე. მომსახურეობა ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..........................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................

თარიღი: 11.01.2024წ





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: